European Union

gef

SGP The GEF Small Grants Programme

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

# სატყეო მიწების მმართველობის გაუმჯობესება საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის

## მიწის (მათ შორის სატყეო მიწის) საკუთრებისა და სარგებლობის პრობლემები საქართველოში

27-28. 11.2015.

GREEN Alternative

www.greenalt.org

## გეგმა

1. მოკლე ინფორმაცია პროექტის შესახებ
2. რას ნიშნავს სატყეო სექტორის კარგი მმართველობა და როგორ შევაფასოთ ის?
3. კანონმდებლობის და მმართველობის ზოგადი მიმოხილვა

3.1. ტყითსარგებლობის ფორმა - მიჩენა

4. სატყეო მიწების მართვის პრობლემური საკითხები

4.1. სატყეო მიწებით სარგებლობა ეკონომიკური/ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას

4.1.1. არასწორი დაგეგმვა - მაჭახელას ხეობის მაგალითი

4.1.2. დარიალჰესი - ლეგალიზებული უკანონობა

4.1.3. ტყითსარგებლობა და წიაღის მოპოვება

<u>4.2. ნიადაგის განადგურება, როგორც ბიზნესი</u>

5. ტყისა და სატყეო მიწების კლასიფიკაცია - პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი გზა

Page ▪ 2

## პროექტი: სატყეო მიწების მმართველობის გაუმჯობესება საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის

<u>პროექტის მიზანი:</u>

- სატყეო მიწების მართვის გაუმჯობესება მდგრადი განვითარებისათვის.
- სატყეო მიწების მართვის ეფექტური მექანიზმების შემუშავების ხელშეწყობა

<u>პროექტის ქმედებები:</u>

- ტყისა და სატყეო მიწების მმართველობის შეფასება
- განათლებისა და ცნობიერების დონის ამაღლება

- სახელმძღვანელო „მიწის გონივრული მმართველობა მდგრადი განვითარებისთვის, სემინარები, ტრენინგები

- სატყეო მიწების კატეგორიზაციის (სტრატეგიული ზონირების) შესახებ დოკუმენტის მომზადება



## სატყეო მმართველობის ხარისხის შეფასება

| სატყეო მმართველობის სამი კომპონენტი | კარგი მმართველობის<br>5 პრინციპი | ექვსი თემატური არე |
|---|---|---|
| **1.** მონაწილე სუბიექტები | 1. გამჭვირვალობა; | **1.** ტყის მფლობელობა |
| 2. წესები | 2. მონაწილეობა; | 2. მიწათსარგებლობა |
| 3. არსებული პრაქტიკა | 3.ანგარიშვალდებულება | 3. ტყის მართვა |
| | 4. კოორდინაცია; | 4. ტყესთან დაკავშირებული შემოსავლები |
| | 5. შესაძლებლობა | 5. გამჭოლი ინსტიტუციები |
| | | 6. გამჭოლი საკითხები |

## მმართველობის სამი ძირითადი კომპონენტი

1. **მონაწილე სუბიექტები:** ადამიანები და ინსტიტუციები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს ტყეების მართვისა და გამოყენების შესახებ. - სამთავრობო უწყებები, კანონმდებლები, კომპანიები, თემები, მედია და სამოქალაქო საზოგადოება.

2. **წესები:** ტყეების მართვასთან დაკავშირებული, პოლიტიკის განმსაზღვრელი და სტრატეგიული დოკუმენტები, კანონები და რეგულაციები. მაგალითები:

- ამა თუ იმ სამართლებრივი აქტის მიღების პროცედურების გამოკვლევა; - სამართლებრივი აქტის შინაარსობრივი მხარის შეფასება

**3. პრაქტიკა:** როგორ ქმნიან და იყენებენ პრაქტიკაში სხვადასხვა სუბიექტები კანონმდებლობასა და რეგულაციებს; მაგალითი:

- ადმინისტრირების პროცესისა და კანონაღსრულების ეფექტურობის შეფასება



## კარგი მმართველობის ხუთი პრინციპი

1. **გამჭვირვალობა:**

- რამდენად სრულყოფილი, დროული, ხელმისაწვდომი და გასაგებია ინფორმაცია?

- ხდება, თუ არა საქმიანობის/პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის პროაქტიული ინფორმირება?

## კარგი მმართველობის ხუთი პრინციპი

*2.* მონაწილეობა:

გადაწყვეტილების მიმღებების სარგებელი/შესაძლებლობები:

- ცოდნის გაღრმავება
- საზოგადოების აზრის გათვალისწინება
- სოციალური კონფლიქტები მართვა

საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის ხარისხის ელემენტები:

- ფორმალური ადგილის გამოყოფა განხილვების/ღონისძიებებისთვის;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება;
- მონაწილეობის პროცესის ინკლუზიურობა და ღიაობა;
- განხილვის პროცესში გამოთქმული წინადადებების გაზიარების ხარისხი.



## კარგი მმართველობის ხუთი პრინციპი

3. ანგარიშვალდებულება:

- უზრუნველყოფს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯების შესაბამისობას დასახულ ამოცანებთან და დაინტერესებული მხარეების ინტერესებთან.

- **მოიცავს ორ განზომილებას: ანგარიშგება და კანონის აღსრულება.**
- **ანგარიშგება**

- საჯარო უწყება ვალდებულია: გადაწყვეტილებებთან და ქმედებებთან დაკავშირებული ინფორმაცია სრულყოფილად მიაწოდოს დაინტერესებულ საზოგადოებასა და საზედამხედველო ორგანოებს

- საჯარო უწყება ვალდებულია დაასაბუთოს გადაწყვეტიელებები ისინი.

- **კანონაღსრულება** - ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო სანქციების დაკისრება და ზიანის ანაზღაურება.

## *კარგი მმართველობის ხუთი პრინციპი*

4. კოორდინაცია:

ჰორიზონტული კოორდინაცია:

- ტყეების მართვა
- გარემოს დაცვა
- მიწათსარგებლობა
- სოფლის მეურნეობა
- ინფრასტრუქტურა და სხვ.

ვერტიკალური კოორდინაცია:

- სატყეო სექტორის დეცენტრალიზაცია
- მართვის გადანაწილება სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოს შორის.



## *კარგი მმართველობის ხუთი პრინციპი*

5. შესაძლებლობა (Capacity)

ზემოხსენებული ოთხი პრინციპის შესრულებისათვის საჭირო რესურსები:

- ფინანსური
- ადამიანური
- ტექნოლოგიური
- სამართლებრივი
- ინსტიტუციური

## სატყეო მმართველობის შეფასების ინდიკატორები

| ჯგუფები | ქვეჯგუფები | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ტყის მფლობელობა | საკუთრება ტყეზე და სარგებლობის უფლება | კონფლიქტების გადაწყვეტა | საკუთრება სახელმწიფო ტყეებზე | კონცესიების მდებარეობა | |
| 2. მიწათსარგებლობა | მიწათსარგებლობის დაგეგმვა | მიწათსარგებლობის გეგმების შესრულება | სექტორული მიწათსარგებლობა | ტყეების კლასიფიკაცია | |
| 3. ტყის მართვა | ტყის მართვის საკანონმდებლო და პოლიტიკური ჩარჩო | სატყეო სტრატეგიები და გეგმები | ტყის მონიტორინგი | ტყის მართვის პრაქტიკა | კანონის აღსრულება სატყეო სექტორში |
| 4. შემოსავლები | ტყის მართვის ადმინისტრირება | შემოსავლების განაწილება | სარგებლის გაზიარება | ბიუჯეტის შედგენა | |
| 5. გამჭოლი ინსტიტუციები | საკანონმდებლო ხელისუფლება | სასამართლო ხელისუფლება | აღმასრულებელი ხელისუფლება | კერძო სექტორი | სამოქალაქო საზოგადოება |
| 6. გამჭოლი საკითხები | საზოგადოების მონაწილეობა | ინფორმაციაზე საზოგადოების | ფინანსური გამჭვირვალობა და | ანტი-კორუფციული | |



დიდი მადლობა ყურადღებისათვის